სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 დეკემბერი, 2023 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება №06-01/137

ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, აკადემიური საბჭოს რეგლამენტის და 2023 წლის 06 დეკემბრის №06-02/25 ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **დაწესდეს ტბელ აბუსერიძის სახელობის ბსუ-ს სტიპენდია** თვეში **500 ლარის ოდენობით** (სემესტრული - 5 თვის განმავლობაში), ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების წარჩინებული სტუდენტებისათვის (თითოეულ ფაკულტეტზე 1 სტიპენდიანტი).

2. ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ერთობლივად უზრუნველყონ ბსუ-ს სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოსათვის წარდგენა.

3. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**